ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №27

19 სექტემბერი 2022 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, გურამი ოქროპირიძე, დავით ფარცვანია, ნინო წულაძე.

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური-გაიოზ თალაკვაძე;ლევან მიქავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(საკრ.№15-032225939-03; 11-01222593033 16.09.2022წ)

(საკრ.№15-03222633-03; 11-01222623537 19.09.2022წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ, კომისიის წევრებს გააცნო გაიოზ თალაკვაძემ.

წარმოდგენილია გლდანის, ვაკის, საბურთალოს, ისნის და მთაწმინდის რაიონული განგეობების კვარტალური ცვლილებები.კერძოდ:

იზრდება მესამე კვარტლის გეგმა „გლდანის რაიონის გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში" (პროგრამული კოდი 01 01 08) - 400 000 ლარით.

„ვაკის რაიონის გზების მოვლა-შეკეთება"(პროგრამული კოდი 01 01 12) – 80 000 ლარით.

„საბურთალოს რაიონის გზების მოვლა-შეკეთება" (პროგრამული კოდი 01 01 13)- 600 000 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში" (პროგრამული კოდი 01 01 09)- 371 000 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა ისნის რაიონში" (პროგრამული კოდი 05 01 14) – ჯამში 24 000 ლარით.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (პროგრამული კოდი 05 01 16)- 100 000 ლარით.

თბილისის საკრებულოს (პროგრამული კოდი 10 01) შრომის ანაზღაურების მუხლი – 224 000 ლარით.

„თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა" (პროგრამული კოდი 09 01)- 35900 ლარით

„ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების განაგრება“ (პროგრამული კოდი 02 02)- 467 000 ლარით

თანხის გადმოტანა ხდება მეოთხე კვარტლიდან და ბალანსდება სხვა ქვეპროგრამებში არსებული ეკონომიებით.

მცირდება მესამე კვარტლის გეგმა და იზრდება შესაბამისად მეოთხე კვარტლის გეგმა შემდეგ ქვეპროგრამებში:

„გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში“ (პროგრამული კოდი 01 01 09)- 371 000 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ (პროგრამული კოდი 01 01 16)- 550 000 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში“ (პროგრამული კოდი 01 01 16)- 550 000 ლარით.

„გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში“ (პროგრამული კოდი 01 01 17)- 500 000 ლარით.

კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში“(პროგრამული კოდი 02 09 13)- 480600 ლარით

„კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში“(პროგრამული კოდი 02 09 18) – 538 900 ლარით.

კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში“(პროგრამული კოდი 02 09 14)- 16 400 ლარით

კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“(პროგრამული კოდი 02 09 19)- 100 000 ლარით

წარმოდგენილია ასევე წლიური გეგმის ცვლილება.

„ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების განაგრება“ (პროგრამული კოდი 02 02) -700 000 ლარით, რაც ბალანსდება პროგრამის „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა“ (პროგრამული კოდი 02 01) შესაბამისად შემცირებით.

იზრდება ასევე ქვეპროგრამის „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია სამგორის რაიონში“ (პროგრამული კოდი 06 02 16 14) წლიური ასიგნება 80 935 ლარით და „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია მთაწმინდის რაიონში“ (პროგრამული კოდი 06 02 16 16) – 220 000 ლარით.

საერთო ჯამში გადასახდელების მესამე კვარტლიდან 1 365 299 ლარი გადადის მეოთხე კვარტალში ,რაც ბალანსდება ნაშთის ცვლილებით.

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებთ ისაუბრა ასიგნებების წარმოდგენილი ცვლილებების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-6. ნინო წულაძემ თავი შეიკავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და უსაფრთხოების საქალაქო სამსახურები, ასევე რაიონული გამგეობები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ითხოვს, მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე